GRUNI

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტი
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

სტრატეგიული მნიშვნელობის საქმიანობა

2023 წელი

ბიზნესისა და მართვის სკოლა

ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანი	პროფესორი ვახტანგ ჭარაია
ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანის მოადგილე	ლანა ებრალიძე
ბიზნესისა და მართვის სკოლის დეკანის მოადგილე	ქეთევან მაისურაძე
მარკეტინგისა და მენეჯმენტის პროგრამების ხელმძღვანელი	პროფესორი თენგიზ თაქთაქიშვილი
ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი გიგი ყუფარაძე
ტურიზმის პროგრამის ხელმძღვანელის მოადგილე	პროფესორი მაკა ფირანაშვილი
ფინანსების პროგრამის ხელმძღვანელი	პროფესორი თამარ გამსახურდია

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მისიაა შექმნას მაღალი აკადემიური კულტურა და ინტელექტუალური სიმდიდრე, დაამკვიდროს მაღალი სამეცნიერო-კვლევითი კულტურა და საზოგადოებას მაღალი სტანდარტის სერვისი შესთავაზოს. ამ ფასეულობებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი აქტიურად მუშაობს კვლევების წახალისების, განათლების ხარისხის სრულყოფის, საერთაშორისო კავშირების გაღრმავებისა და სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს გაძლიერებისთვის, რაც 2023 წელს შემდეგ აქტივობებში გამოიხატა:

უპრეცედენტო აქტიურობები / პირველად საქართველოში

-პირველად საქართველოსა და აღმოსავლეთ ევროპაში, გრუნის სტუდენტები **ნიუ-იორკის (NYSE) საფონდო ბირჟაზე ვაჭრობენ.** Trader\s Hub-თან თანამშრომლობით ბრიტანულ გამოცდილებას დაფუძნებული აკადმეიური კურსი სრულად ინტეგრირდა გრუნის სასწავლო პროცესში და შეიქმნა პირველი სტუდენტური საინვესტიციო ფონდი საქართველოში. განხორციელდა სოლიდური ინვესტიცია შესაბამის ინფრასტრუქტურაში.

-GRUNI პირველი და ერთად-ერთი უნივერსიტეტია საქართველოდან, რომელმაც შვეიცარიულ **WORLD ECONOMIC FORUM**-თან დაიწყო თანამშრომლობა და გამოუშვა მსოფლიო მასშტაბის პირველი ერთობლივი კვლევა.

- GRUNI ერთად-ერთი უნივერსიტეტია საქართველოდან, რომელიც პარტნიორი და კვლევის თანაავტორი უნივერსიტეტის სტატუსით მიწვეულ იქნა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „განვითარების სამიტზე“ ჟენევაში, **„მომავლის სამუშაო ადგილების“** საკითხის განსახილველად.

- ამერიკულ **Libra Alliance-თან** ერთად დაფუძნდა **მდგრადი განვითარების ცენტრი (GRUNI SDGs)**, რომელიც მდგრადობის მიმართულებით მრავალფეროვან აკადემიურ და პრაქტიკულ პროექტებს განახორციელებს, მათ შორის გაეროსთან ერთადაც.

- საგანმანათლებლო საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის გაძლიერებისა და აკადემიური განათლების სრულყოფის მიზნით დაიწყო თანამშრომლობა **Texas A&M უნივერსიტეტის** განათლებისა და კვლევის სკოლასთან. Texas A&M-თან ერთად განახორციელა ორი უპრეცედენტო პროექტი: **TESOL** - ინგლისური ენის სპეციალისტთა უფასო გადამზადება და - **Paths to Publication** - კვლევითი სემინარების პროგრამა.

- 2014 წლიდან მჭიდრო თანამშრომლობის შემდეგ 2023 წელს გრუნი **ევროპული კულტურული ტურიზმის ქსელის (ECTN)** წევრი გახდა, რომელიც არის კულტურული ტურიზმის განვითარების საკითხში მომუშავე ერთადერთი პანევროპული ქსელი. ECTN ამჟამად აერთიანებს 29 წევრს 19 ქვეყანაში.

-გრუნი გახდა ერთად-ერთი პარტნიორი უნივერსიტეტი თბილისის მერიის მიერ ორგანიზებული მასშტაბური ეკონომიკური განვითარების ფორუმისა - „მდგრადი განვითარება: მწვანე, ჭკვიანი, ბიზნესმეგობრული“ (**TBILISI LED FORUM**). ფორუმში მონაწილეობას იღებდა 100-ზე მეტი ადგილობრივი და უცხოელი სპიკერი. მონაწილეთა სია 500 სტუმარს აჭარბებდა.

მნიშვნელოვანი მოვლენები

- **სამეწარმეო უნარების** განვითარების მიზნით ბიზნესისა და მართვის სკოლის ორგანიზებით ჩატარდა **ბიზნესიდეების კონკურსი.** პროექტის ფარგლებში მონაწილეებისთვის გაიმართა ტრენინგების ციკლი, პრაქტიკოსი სპეციალისტების ჩართულობით.

- ბიზნესისა და მართვის სკოლამ თანამშრომლობა დაიწყო და **მემორანდუმი გააფრომა 50-მდე ადგილობრივ და საერთაშორისო ორაგანიზაციასთან,** მათ შორის საქართველოს სახელმწიფო უწყებებთან. აღნიშნული უზრუნველყოფს **სტაჟირების, დასაქმების** და ერთობლივი სამეცნიერო და პრაქტიკული პროექტების განხორციელებას.

- ბიზნესისა და მართვის სკოლასთან არსებული **სტუდენტური საინვესტიციო ფონდის** ორგანიზებით, სკოლის მოსწავლეების ორი ნაკადისთვის ,,საფონდო ბირჟაზე ვაჭრობის შესავალი კურსი" განხორციელდა. მონაწილეობა 80-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო და 2024 წელს ამ მაჩვენებელის 1000 მოსწავლემდე აყვანაა დაგეგმილი.

- თბილისსა და ბათუმში გაიმართა 4 მნიშვნელოვანი - **დასაქმების ფორუმი,** სადაც მოწვეული კომპანიები სტუდენტებს უზიარებდნენ ინფორმაციას მათთან დასაქმების და სტაჟირების შესაძლებლობების შესახებ. დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა **70-ზე მეტმა მსხვილმა და საშუალო კომპანიამ მიიღო მონაწილეობა,** მათ შორის საერთაშორისო კომპანიების ჩათვლით.

- გრუნის აკადემიურმა პერსონალმა და სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს **მარკეტინგის გლობალურ სამიტში (World Marketing Summit),** რომელიც მარკეტინგის სფეროს ყველაზე ცნობილ მკვლევრებს და პრაქტიკოსებს აერთიანებს, პროფესორ კოტლერის ხელმძღვანელობით. სამიტში მონაწილეობას იღებდნენ ისეთი გლობალური ბრენდები როგორებიცაა: პეპსი, ნესტლე, მასტერქარდი, მაიკროსოფტი, გუგლი, ამაზონი და მრავალი სხვა.

- თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობებში გაიმართა **100-ზე მეტი საჯარო ლექცია, ტრენინგი, ვორქშოპი, წიგნის განხილვა, სემინარი** თუ სხვა მნიშვნელოვანი აკადემიური და პრაქტიკული ღონისძიებები, ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, **ბიზნესმენების, ელჩების, სტარტაპერების, საერთაშორისო ორგანიზაციების, სახელმწიფო მოხელეების, უცხოელი სტუმრების** თუ სხვათა მონაწილეობით.

- Teen Academy-ის ფარგლებში, ბიზნესისა და მართვის სკოლის პროფესორებმა სხვადასხვა პროექტების ფარგლებში **უმასპინძლა 500-ზე მეტ სკოლის მოსაწვლეს** მთელი საქართველოდან, მათ შორის: **დროის მენეჯმენტის, ბიზნეს იდეების კონკურსის, ფინანსური განათელის,** თუ სხვა პროექტების/ტრენინგების ფარგლებში.

- გრუნი იყო ერთად-ერთი პარტნიორი უნივერსიტეტი საქართველოში გამართული გლობალური სტარტაპ კონკურსის - **Startup World Cup National Competition 2023,** რომელიც ქ. ბათუმში გაიმართა. ღონისძიებაში მონაწილეობას იღებდა 300-მდე სტარტაპერი, მათ შორის გრუნის სტუდენტებიც და პროფესორებიც. ამ ღონისძიების ფარგლებში ბათუმს სტუმრობდნენ ინვესტორები სინგაპურიდან, ევროკავშირიდან, გაერთიანებული სამეფოდან და სხვა ქვეყნებიდან.

- 2023 წელს დაიგეგმა და დაიწყო სამი მნიშვნელოვანი კვლევა მდგრადი განვითარების, კონკურენციის და მომხმარებელთა უფლებების და შრომის უსაფრთხოების საკითხების შესახებ, რომელსაც ბიზნესისა და მართვის სკოლა საჯარო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად განახორციელებს. პროექტებში ჩართულები იქნებიან: **ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო** და **შრომის ინსპექციის სამსახური.**

- მრავალთვიანი აქტიური მუშაობის შედეგად დასრულდა მზადება **ტურიზმის პროგრამის აკრედიტაციისთვის** და დასრულების ეტაპზეა **ფინანსების, მარკეტინგისა და მენეჯმენტის პროგრამების კლასტერული აკრედიტაციის** დოკუმენტაცია.

- **სასწავლო-შემეცნებითი ტურის** ფარგლებში **თურქეთში, ქ. რიზეში** იმყოფებოდა უნივერსიტეტის **45 სტუდენტი და პროფესორ-მასწავლებელი.** მათ მოინახულეს სუმელას მონასტერი, უზუნგოლის ტბა, პატარა აია-სოფიას ტაძარი და სხვა ღირსშესანიშნაობები, ეწვივნენ რიზეს ერდოღანის სახელობის უნივერსიტეტს და მონაწილეობა მიიღეს ტრენინგში საერთაშორისო ტურიზმის მიმართულებით. აღნიშნული ტური სტუდენტებს როგორც პროფესიული, ასევე პრაქტიკული უნარების განვითარებაში დაეხმარა.

მნიშვნელოვანი სამეცნიერო აქტიურობები

- გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში გაიმართა **საქართველოს ეკონომისტთა V ეროვნული სამეცნიერო კონფერენცია**, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეკონომიკურ მეცნიერებათა კომისიის, გრუნის, თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტისა და პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტის თანაორგანიზებით.

- გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტში გაიმართა **მეთორმეტე საერთაშორისო მულტიდისციპლინური ფორუმი**. ფორუმი ორგანიზებული იყო გრუნისა და ევროპის სამეცნიერო ინსტიტუტის (ESI) ერთობლივი თანამშრომლობის ფარგლებში. ფორუმის მუშაობაში მონაწილეობდნენ როგორც ქართველი, ისე პოლონელი, ამერიკელი, მექსიკელი, თურქი და სხვა ქვეყნების მეცნიერები.

- **სევილიის უნივერსიტეტთან,** აღმოსავლეთ ევროპუს ნივერსიტეტთან, მსოფლიო ეკონომიკური კვლევის ინსტიტუტთან ერთად გრუნიმ უმასპინძლა მასშტაბურ **ჰიბრიდულ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციას,** რომელშიც რამდენიმე ათეული ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, ქართველ მეცნიერებთან ერთად. ორგანიზატორთა იგივე შემადგენლობით მომდევნო წელს იგივე კონფერენცია **ესპანეთში, ქ. მადრიდში გაიმართება.**

- ადგილობრივი და უცხოელი ექსპერტების ხელმძღვანელობით (აშშ-დან, გერმანიიდან, ავსტრიიდან, ბრიტანეთიდან...) თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობებში აკადემიური და მოწვეული პერსონალისათვის გაიმართა ათეულობით ვორქშოფი, მათ შორის: კვლევების ინტერნაციონალიზაციის და კომერციალიზაციის, სამეცნიერო ბაზებთან მუშაობის, სტატიების გამოცემისა და ციტირების, გრანტების მოძიების, თუ მრავალი სხვა მიმართულებით.

- ბათუმის წარმომადგენლობაში გაიმართა **საერთაშორისო კონფერენცია თემაზე „მდგრადი განვითარების აქტუალური საკითხები“**. ქართული უნივერსიტეტების წარმომადგენლებთან ერთად კონფერენციაში მონაწილეობდნენ ავსტრიელი, გერმანელი და ინდოელი მეცნიერები.

- თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობები შეთანხმდენენ **მუდმივმოქმედი სამეცნიერო სემინარის** ორგანიზებაზე, **თბილისში ბათუმელი** და **ბათუმში თბილისელი მომხსენებლების სტუმრობით.** უკვე გაიმართა პირველი სამეცნიერო სემინარი სახელწოდებით - **„პანდემიურ და პოსტპანდემიურ პერიოდში საქართველოს საბანკო სექტორის განვითარების ტენდენციები და მისი ზეგავლენა ადგილობრივ ეკონომიკაზე“.**

გრუნის ფინანსური მხარდაჭერით ბიზნესისა და მართვის სკოლის პროფესორების მიერ გამოიცა **30-ზე მეტი სამეცნიერო სტატია** მაღალი რანგის სამეცნიერო ჟურნალებში, მათ შორის **SCOPUS, ELSEVIER, EBSCO** და სხვა ბაზებში, მათ შორის უცხოელ თანაავტორებთან ერთად. გამოიცა მნიშვნელოვანი მონოგრაფიები და სახელმძღვანელოები.

მოპოვებული გრანტები

- მოპოვებულ იქნა **შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის** 3 წლიანი **გრანტი ფუნდამენტური კვლევებისთვის,** სახელწოდებით: „ჩრდილოვანი საბანკო სისტემის გავლენა ფინანსურ სტაბილურობაზე“. პროექტის ფარგლებში ბიზნესისა და მართვის სკოლის 4 პროფესორია ჩართული.

- **გრუნის მეცნიერული კვლევისა და შემოქმედებითი ინიციატივის განვითარების კომიტეტმა** ბიზნესისა და მართვის სკოლის ჯამში 4 სამეცნიერო კვლევითი პროექტი გამოაცხადა გამარჯვებულად, რომელთა ფარგლებშიც თბილისისა და ბათუმის წარმომადგენლობის **30-ზე მეტი პროფესორი, დოქტორანტი, მაგისტრანტი და ბაკალავრი** ჩაერთო სამეცნიერო საქმიანობაში. კვლევები შეეხებოდა, ტურიზმის, ტექნოლოგიების, მდგრადობის და საფინანსო ბაზრის განვითარების საკითხებს.

- **აშშ-ის საელჩოს მიერ გამოცხადებულ წიგნის თარგმნის კონკურსში გამარჯვების შედეგად** დაიწყო ფინანსების სფეროს ბესთსელერად აღიარებული სახელმძღვანელოს თარგმნა - **„Essentials of Corporate Finance, 11th Edition“, Stephen Ross, Randolph Westerfield, Bradford Jordan.** 800 გვერდიანი წიგნის თარგმნაში ჩართულია ბიზნესისა და მართვის სკოლის პროფესორთა უმრავლესობა.

- სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებისა და უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით საზღვარგარეთ გაემგზავრა ბიზნესისა მართვის სკოლის **რამდენიმე ათეული პროფესორი, ადმინისტრაციული თანამშრომელი და სტუდენტი,** მათ შორის **პორტუგალიაში, პოლონეთში, კვიპროსში, შვეიცარიაში, იტალიაში, საფრანგეთში და სხვა ქვეყნებში.**

შედეგად!!!

უპრეცედენტოდ მაღალი მიღება და სტუდენტებთა რაოდენობა!

2023 წელს ბიზნესისა და მართვის სკოლამ მიიღო **25%-ით მეტი** სტუდენტი, ვიდრე 2022 წელს და **100%-ით მეტი** ვიდრე 2021 წელს.!